

2025 წლის ანგარიში



თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის

გარემოს დაცვის კომისიის წევრის

ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ წევრის

ლევან აბაშიძის

ანგარიში



ადგილობრივ თვითმმართველობას განსაკუთრებული როლი აქვს ქვეყნის განვითარებაში და ზოგადად დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში. ის არის მოსახლეობასთან ყველაზე ახლოს მყოფი რგოლი, რომლის უპირველესი ვალდებულებაა ყოველდღიური პირდაპირი კომუნიკაცია ხალხთან, მათი მოსმენა და მათ საჭიროებებზე ზრუნვა. იყო ადგილობრივი თვითმმართველობაში ხალხის წარმომადგენელი ერთი მხრივ დიდი პატივია, მაგრამ ასევე უდიდესი პასუხისმგებლობაა. განსაკუთრებული პატივია იყო თბილისის საკრებულოს წევრი, ქალაქის, რომელსაც უდიდესი ისტორია გააჩნია და რომლის სამსახურშიც ყოველთვის განსაკუთრებული ადამიანები იდგნენ.

მე 2021 წლიდან მაქვს პატივი თბილისის საკრებულოს წევრის რანგში ვემსახურო ჩვენს დედაქალაქს და მივიღო მონაწილეობა ყველა იმ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში, რომელსაც თბილისის საკრებულო იღებს. რა თქმა

უნდა არსებობს უამრავი სირთულე და გამოწვევა ყველა მიმართულებით, მაგრამ ჩემი პირადად და სხვა საკრებულოს წევრების პირდაპირი ვალდებულებაა მუდმივად ვიფიქროთ ამ სირთულეებისა და გამოწვევების გადალახვაზე და თბილისის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე.

ჩვენი, საკრებულოს წევრების ვალდებულებაა მოსახლეობას წარვუდგინოთ ყოველწლიური ანგარიში იმ პროექტებისა და გადაწყვეტილებების შესახებ, რომელთა განხორციელებასა და მიღებაში გვაქვს მონაწილეობა მიღებული და აქედან გამომდინარე გთავაზობთ ჩემს 2024-2025 წლების საკრებულოს წევრის ყოველწლიურ ანგარიშს.

წინამდებარე ანგარიში მნიშვნელოვანია ბევრი მიმართულებით, მათ შორის უნდა აღინიშნოს, რომ ის არის ჩემი, როგორც VII მოწვევის საკრებულოს წევრის ბოლო ანგარიში. რამდენიმე დღის წინ ჩატარებულმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა და დედაქალაქის მაცხოვრებელთა მხარდაჭერამ ცხადყო, რომ 2021 წელს ქალაქის წინაშე აღებული ვალდებულებების პირნათლად და ჯეროვნად შესრულება, როგორც მე ასევე „ქართული ოცნების“ გუნდს გვაძლევს შესაძლებლობას შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში გავაგრძელოთ ფიქრი და ზრუნვა თბილისისა და თბილისის მაცხოვრებლების საჭიროებებზე.

**ლევან აბაშიძე**

# შინაარსი

|                                                                                                |    |
|------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| შინაარსი .....                                                                                 | 3  |
| თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულო.....                                           | 4  |
| 1. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია .....                                                     | 6  |
| 1.1. კომისიის შესახებ.....                                                                     | 6  |
| 1.2. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის საქმიანობის მიმოხილვა საანგარიშო პერიოდში....          | 7  |
| 1.3. განხორციელებული სახელდებების შესახებ .....                                                | 9  |
| 1.4. მნიშვნელოვანი აქტივობები .....                                                            | 11 |
| 1.4.1. იოსებ ჟორდანიას სახელობის სკვერის გახსნა.....                                           | 11 |
| 1.4.2. ჯემალ დაღანიძის ქუჩის გახსნა .....                                                      | 12 |
| 1.4.3. ალექსანდრე შიმკვეიჩის ქუჩის გახსნა .....                                                | 13 |
| 1.5. პარტნიორობისა და გამჭვირვალობის პოლიტიკა.....                                             | 14 |
| 1.5.1 მოქალაქეების ჩართულობა .....                                                             | 15 |
| 1.5.2 საერთაშორისო ურთიერთობები .....                                                          | 17 |
| 1.5.2.1. სამუშაო ვიზიტი ავსტრიაში .....                                                        | 17 |
| 1.5.2.2. უზბეკეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი .....                                      | 18 |
| 1.5.2.3. თანამშრომლობა მონტევიდეოს მერიასთან .....                                             | 20 |
| 1.5.3 პარტნიორობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან და უწყებებთან .....                               | 20 |
| 1.5.3.1 პარტნიორობა თბილისის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების<br>სააგენტოსთან..... | 21 |
| 1.5.3.2 პარტნიორობა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან .....                                 | 22 |
| 1.5.3.3 პარტნიორობა ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურთან .....                    | 23 |
| 2 საქმიანობა გარემოს დაცვის კომისიაში .....                                                    | 24 |
| 3 საქმიანობა ფრაქციაში „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“ .....                         | 24 |
| 4 მერიის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის<br>კომისია .....    | 25 |
| 5 დანართი.....                                                                                 | 27 |

## თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულო

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება პირდაპირი, საყოველთაო და ფარული კენჭისყრის საფუძველზე, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრები ხმის უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეების მიერ არჩეული წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მიერ, ოთხი წლის ვადით.

თბილისის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა თბილისის საკრებულო, რომელიც უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საკრებულოს რეგლამენტის, სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნათა შესაბამისად.

2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებზე ამომრჩევლებმა ოთხი წლის ვადით აირჩიეს დედაქალაქის საკრებულოს 50 წევრი, აქედან 40 წევრი - პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე, ხოლო 10 - ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე.

**VII მოწვევის საკრებულოში ფუნქციონირებს 11 მუდმივმოქმედი კომისია:**

- სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია
- განათლებისა და კულტურის კომისია
- იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია
- ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია
- სატრანსპორტო საკითხთა კომისია
- გარემოს დაცვის კომისია
- სარევიზიო კომისია
- ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია

- სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია
- ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია
- ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად დედაქალაქში მიმდინარეობს მნიშვნელოვანი პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება ურბანული დაგეგმარების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, ტრანსპორტის, ეკოლოგიისა და გამწვანების, განათლების, კულტურის, სპორტის და სხვა პრიორიტეტების მიმართულებით.

ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის საქმიანობა, საკრებულოს სხდომებში მონაწილეობისა და მიმდინარე განსახილველი საკითხების შესწავლის გარდა მოიცავს საქმიანობას ფრაქციაში „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო“, ასევე გარემოს დაცვის კომისიის წევრად მუშაობას. საკრებულოს წევრისთვის დაკისრებული ვალდებულებების გარდა აქტიურად ვარ ჩართული ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მუშაობაში. ძირითად ყოველდღიურ საქმიანობას კი განეკუთვნება მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება.

საანგარიშო წლის განმავლობაში ჩატარდა საკრებულოს 15 სხდომა. საკრებულოს მიერ მიღებული იქნა 102 დადგენილება და 737 განკარგულება, აქედან 96 განკარგულება სახელდებასთან დაკავშირებით. ჩემს მიერ საკრებულოს სხდომებზე მხარდაჭერილია ყველა ის პროგრამა და პროექტი, რომელიც წლის განმავლობაში დაინიცირდა და რომელთა განხორციელების პროცესი და პოზიტიური შედეგები ხელშესახებია დედაქალაქის თითოეული მაცხოვრებლისთვის.

# 1. სახელდებისა და სიმბოლოკის კომისია

## 1.1. კომისიის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდება. ამავე კოდექსის მიხედვით გეოგრაფიული ობიექტების სახელდებას და მუნიციპალიტეტის სიმბოლოების დადგენას ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.


გეოგრაფიული ობიექტების სახელდების, თბილისის დროშის, გერბის და სხვა სიმბოლოების დადგენის მიზნით თბილისის საკრებულოში შექმნილია სახელდებისა და სიმბოლოკის კომისია.

კომისიის პერსონალური შემადგენლობა დაკომპლექტებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისგან. კომისიის უფლებამოსილება და სხდომების პერიოდულობა განსაზღვრულია კანონმდებლობით, კომისიის დებულებითა და გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ დამტკიცებული წესით. ხსენებული წესი განსაზღვრავს როგორც სახელდების განხორციელების პროცედურულ, ასევე მიზანშეწონილობის დადგენისა და სახელწოდების შერჩევის პროცედურებს.

სახელდებისა და სიმბოლოკის კომისიამ, როგორც დროებითმა სამუშაო ჯგუფმა საკრებულოში ფუნქციონირება 2006 წელს დაიწყო. სამუშაოების მოცულობის და მზარდი მომართვიანობის გათვალისწინებით 2010 წელს მიღებული იქნა გადაწყვეტილება მის მუდმივმოქმედ კომისიად ჩამოყალიბების თაობაზე.

## 1.2. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის საქმიანობის მიმოხილვა საანგარიშო პერიოდში

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის 14 სხდომა ჩატარდა. კომისიამ სულ 185 საკითხი შეისწავლა. 2024 წლის ნოემბრიდან 2025 წლის ოქტომბრის პერიოდში თბილისის საკრებულოს მიერ, სახელდების თაობაზე როგორც აღინიშნა 96 ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი - განკარგულება (იხ. დანართი) იქნა გამოცემული, რაც საკრებულოს მიერ მიღებული განკარგულებების 12 პროცენტია და მცირედით ჩამორჩება გასული წლის საანგარიშო პერიოდის სტატისტიკას.



სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია საკითხების შესწავლის და დამუშავების შემდგომ ინიციატივებს აშხადებს როგორც დაინტერესებული მხარეების მომართვის, ისე საკუთარი ინიციატივით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისიამ საქმისწარმოების პროცესი დაიწყო ოთხასამდე განცხადებაზე. დაინტერესებულ პირთა მომართვიანობა ძირითადად უსახელო

გეოგრაფიული ობიექტების სახელდებას, ობიექტისთვის სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის სახელის მინიჭებას შეეხებოდა.

გარდა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული წერილებისა, კომისიის მიერ ასევე დამუშავდა ისეთი კორესპონდენციები, რომელთა საფუძველზეც ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი საანგარიშო პერიოდამდე დაიწყო.

როგორც წინამდებარე ანგარიშში აღინიშნა, კომისიის მიერ საკითხების შესწავლა ხორციელდება ორ ეტაპად, პირველ ეტაპზე ხდება შემოსული კორესპონდენციებისა და კომისიის ინიციატივის საფუძველზე საკითხების განსაზღვრა, განხილვა და საკრებულოს წინაშე ინიციატივებად რეგისტრირება. აღნიშნულ პროცესს თან სდევს საქმისწარმოების მასალების საჯაროდ გამოქვეყნება და გამოქვეყნებიდან არაუადრეს 20 დღისა იმართება საჯარო განხილვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით. აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია თვითოეულ საკითხზე კენჭისყრას ორ ეტაპად ატარებს და განხილული საკითხების რაოდენობა აღემატება საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობას. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, განხილული იქნა 185 საკითხი. თითოეულმა საკითხმა სახელდების წესით და საკრებულოს რეგლამენტის მოთხოვნათა შესაბამისად გაიარა დამუშავების სავალდებულო ეტაპები. თითოეულ საკითხზე შედგა მიმოწერა როგორც მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან, ასევე საკითხთან შემხებლობაში მყოფ სხვადასხვა უწყებასთან (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური და სხვა.) განხილვის პროცედურების დასრულების შემდგომ თვითოეულ საკითხზე გაიმართა საჯარო განხილვა და საკითხი შესაბამისი სამართლებრივი დასკვნის საფუძველზე განსახილველად წარედგინა საკრებულოს.



### 1.3. განხორციელებული სახელდებების შესახებ

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია უფლებამოსილების განხორციელების პროცესში მუდმივად ახორციელებს თბილისის ურბანულ გარემოში საქართველოს სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკის გატარებას, სამშობლოს დაცვის, განათლების, კულტურის, სპორტის და სხვა სფეროს ღვაწლმოსილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების სახელების სათანადო უკვდავყოფის გზით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისიამ იმუშავა თბილისში არსებული გეოგრაფიული ობიექტებისთვის ისეთი საზოგადო მოღვაწეების სახელების მინიჭებაზე, როგორებიც არიან:

#### ხელოვნება, კულტურა, მწერლობა:

- |                      |                      |
|----------------------|----------------------|
| • ტერენტი გრანელი    | • ზურაბ გორგილაძე    |
| • თემურ ჩხეიძე       | • ჯემალ ლაღანიძე     |
| • ომარ მხეიძე        | • ავქსენტი ცაგარელი  |
| • თამაზ სეფერთელაძე  | • დოდო ჭიჭინაძე      |
| • ვაჟა აზარაშვილი    | • გიორგი გაბელაშვილი |
| • პეტრე ამირანაშვილი | • ომარ გვასალია      |
| • ვანო მჭედლიშვილი   |                      |

#### სპორტსმენები:

- |                       |                   |
|-----------------------|-------------------|
| • ოთარ ქორქია         | • იმედო ფხაკაძე   |
| • ნოდარ ჯორჯიკია      | • სერგო კოტრიკაძე |
| • ვლადიმერ უგრეხელიძე | • ვიქტორ სანეევი  |

## 2008 წლის რუსეთ-საქართველოს და აფხაზეთის ომში გარდაცვლილი მებრძოლები:

- ალბერტ ბალხამიშვილი
- ზურაბ ბეგიაშვილი
- ელგუჯა რუხაია
- გოგიტა კიკნაძე
- იზანი ცერცვაძე
- მიხეილ ქორიძე
- გიორგი წულაია
- ბაკურ ბექაური
- ბორის გრიგოლაშვილი
- მიხეილ გამკაძე
- გელა ოჩიაური
- ბადრი ჭინჭარაული
- დიმიტრი კორახაშვილი

## სამეცნიერო საზოგადოება:

- გივი გაჩეჩილაძე
- იოსებ ჟორდანია
- ეგნატე ფიფია
- გიორგი ბოჭორიძე
- გიორგი ძოწენიძე
- ოთარ ჯაფარიძე

## ასევე აღსანიშნავია შემდეგი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები:

- ნოე რამიშვილი
- სამსონ დადიანი
- მიხა ხელაშვილი
- ივანე და ნინო პოლტორაცკები
- დავით ვაჩნაძე
- რობერ შუმანი
- ნიკოლოზ მაყაშვილი
- ზაურ უჩაძე

- გენო ქარუმიძე
- ბიძინა ჩოლოყაშვილი
- ოთარ ლორთქიფანიძე-იუნკერი
- სოლომონ ზალდასტანიშვილი
- გიგლა ირემაძე

#### 1.4. მნიშვნელოვანი აქტივობები

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შემდგომ დაინტერესებული პირების სურვილით ან საკუთარი ინიციატივით გეგმავს გეოგრაფიული ობიექტების გახსნის ღონისძიებებს. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს საზოგადოებაში ახალი გეოგრაფიული ობიექტის ცნობადობის ზრდას, ასევე გახსნის ღონისძიებების ორგანიზებით ხდება ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გაგრძელება ყველა იმ მიმართულებით, რაც ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების ყოველდღიურ საზრუნავს წარმოადგენს. გარდა აღნიშნულისა, სახელდებული გეოგრაფიული ობიექტის გახსნა, კონკრეტული სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების ღვაწლის დაფასების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

##### 1.4.1. იოსებ ჟორდანიას სახელობის სკვერის გახსნა



თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით ვაჟა-ფშაველას გამზირის მე-7 კვარტალში მდებარე სკვერს გამოჩენილი ქართველი ექიმის, იოსებ ჟორდანიას, სახელი მიენიჭა. სკვერისთვის სახელის მინიჭების თაობაზე

საკრებულოს ერთობლივი განცხადებით 300 მდე ექიმმა მიმართა.

სკვერის გახსნის ღონისძიება სიმბოლურად პირველ ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს გაიმართა, გახსნის ღონისძიებას თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე, სამედიცინო საზოგადოების წევრები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. ღონისძიების ფარგლებში სკვერის ტერიტორიაზე დაირგო ხეები.

იოსებ ჟორდანია რეპროდუქციული მედიცინის პიონერი იყო საქართველოში. 1958 წელს მან დააარსა ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც დღეს მისი სახელი ჰქვია. 1962 წელს, ბრაზილიიდან დაბრუნებისას, იგი ტრაგიკულად დაიღუპა, როცა თვითმფრინავის კატასტროფისას ცდილობდა ბავშვის გადარჩენას.



#### 1.4.2. ჯემალ დაღანიძის ქუჩის გახსნა



თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, საბურთალოს რაიონში, ვიქტორ დოლიძის ქუჩის მიმდებარედ კინოსა და თეატრის მსახიობის ჯემალ დაღანიძის სახელობის ქუჩა გაიხსნა.

ღონისძიება თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ, ლევან აბაშიძემ, გახსნა. ღონისძიების ფარგლებში ქუჩაზე მისამართის აღმნიშვნელი აბრები დამონტაჟდა.

ჯემალ ღაღანიძე 1933 წლის 21 აპრილს თბილისში იმ ქუჩაზე დაიბადა, რომელსაც საკრებულოს გადაწყვეტილებით მსახიობის სახელი მიენიჭა. ჯემალ ღაღანიძე იყო ქართული კინოსა და თეატრის მსახიობი,



საქართველოს დამსახურებული არტისტი, საქართველოს სახალხო არტისტი.

ღონისძიებას მსახიობის ოჯახის წევრები, ადგილობრივი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე ქუჩის მაცხოვრებლები ესწრებოდნენ.



#### 1.4.3. ალექსანდრე შიმკევიჩის ქუჩის გახსნა

თბილისში, კრწანისის რაიონში, თბილისში მოღვაწე პოლონელი არქიტექტორის, ალექსანდრე შიმკევიჩის, სახელობის ქუჩა

გაიხსნა.



ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ არტურ გებალი, პოლონეთის ელჩი საქართველოში; რაფაელ პერლი, პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო-დიასპორის დეპარტამენტის წარმომადგენელი და მარია ფილინა, თსუ-ს პროფესორი, კავშირ „პოლონიას“ თავმჯდომარე.

აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე შიმკევიჩი თბილისში 1885 წლიდან მოღვაწეობდა. იგი იყო თბილისის საქალაქო არქიტექტორი, აგრეთვე თბილისის საქალაქო სათათბიროს დეპუტატი. მისი პროექტით აშენდა



თბილისში ფუნქულიორის შენობა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, კონსერვატორია, ისლამური სახლი, კავკასიის აბრეშუმის სახლი, ბათუმის გიმნაზია და სხვა. ალექსანდრე შიმკევიჩი ხელმძღვანელობდა აგრეთვე თბილისის ოპერის მშენებლობას.



## 1.5. პარტნიორობისა და გამჭვირვალობის პოლიტიკა

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია, საქმიანობის განხორციელების პროცესში

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პარტნიორობას ისეთ უწყებებთან და

საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც პირდაპირ ან ირიბ შემხებლობაში არიან კომისიის უფლებამოსილების ჩარჩოსთან.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შენარჩუნდა თანამშრომლობა ისეთ უწყებებთან, როგორებიც არიან: თბილისის მერიის სამსახურები, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ეროვნული არქივი, ვეტერანების საქმეთა სამსახური, ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო, და სხვა.

ჩემთვის, როგორც კომისიის თავმჯდომარისთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს გამჭვირვალობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული პირების მაქსიმალური ჩართულობა. ყველა მნიშვნელოვან ლოკაციაზე, სადაც კომისია ცვლილების პროცესს აწარმოებს ხდება ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრების და ტერიტორიის ადგილზე დათვალიერების პროცესის უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასევე უნდა აღინიშნოს საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით მიღებული რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომლებიც დეტალურადაა განხილული შემდგომ თავებში.

პარტნიორობისა და გამჭვირვალობის კონტექსტში აღსანიშნავია:



#### 1.5.1 მოქალაქეების ჩართულობა

საქართველოში დემოკრატიული მმართველობა ეყრდნობა ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, როგორც ხალხთან ყველაზე ახლოს

მდგომ ინსტიტუციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია აცნობიერებს საჯაროობისა და ჩართულობის მნიშვნელობას ქვეყანაში კარგი მმართველობის პრინციპების განსამტკიცებლად. როგორც ადგილობრივი თვითმმართველობების ევროპული ქარტია, საქართველოს კონსტიტუცია, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები პირდაპირ და ირიბად მოიაზრებს მოქალაქეთა უფლებას, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების წარმართვაში.

ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესი, გარდა მოქალაქეთა მონაწილეობის კანონმდებლობით გაწერილი შესაძლებლობებისა კომისიას დამატებით ავალდებულებს თითოეულ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღოს მხოლოდ საჯარო განხილვის და საზოგადოებასთან კონსულტაციების გამართვის შემდგომ. ამ უფლების რეალიზებისთვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომისიის სხდომის დღის წესრიგი, შესაბამის მასალებთან ერთად ქვეყნდება საჯაროდ, არანაკლებ 20 დღის ვადით და მხოლოდ ამის შემდგომ კომისია უფლებამოსილია მოიწვიოს სხდომა. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ კომისიის სხდომებში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისიამ ყველა საკითხი აღნიშნული პროცედურების დაცვით განიხილა. გარდა ამისა, ცალკეულ საკითხებზე განხილვები გაიმართა უშუალოდ იმ ტერიტორიებზე, სადაც სახელდება განხორციელდა.



საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოქალაქეებთან ურთიერთობა და ჩართულობა

განხორციელდა სხვადასხვა ფორმით, მათ შორის: კომისიის მიერ საკითხების საჯაროდ განხილვა; მოქალაქეებთან შეხვედრები, როგორც საკრებულოში, ასევე უშუალოდ კონკრეტულ პრობლემურ ლოკაციებზე; სატელეფონო კომუნიკაცია; სოციალური ქსელი, წერილობითი მომართვიანობა.

საანგარიშო პერიოდში საკრებულოში მოსულ ნებისმიერ მოქალაქეს ჰქონდა შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში შეხვედროდა, კომისიის თავმჯდომარეს და მის აპარატს.



ხსენებული შესაძლებლობით არაერთმა მოქალაქემ ისარგებლა. მომართვიანობა ძირითადად მისამართის დაზუსტებას, კონსულტაციის გაწევას, გზათა ქსელების მომზადების, ტერიტორიის იდენტიფიცირების და ღვაწლის დასადასტურებლად საჭირო დოკუმენტების შესახებ ინფორმაციას შეეხებოდა.

სატელეფონო კონსულტაცია დაახლოებით ხუთას მოქალაქეს გაეწია, ასევე აქტიურად ხდება მომართვა სოციალური ქსელის საშუალებით, რა დროსაც დაინტერესებულ პირებს ინფორმაცია დაუყოვნებლოვ მიეწოდებათ. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წარმომადგენლები რეგულარულად ახორციელებენ მისამართებისა და გეოგრაფიული ობიექტების ადგილზე დათვალიერებას.

## 1.5.2 საერთაშორისო ურთიერთობები

### 1.5.2.1. სამუშაო ვიზიტი ავსტრიაში



მ/წლის მარტის თვეში, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარესთან, კახაბერ ლაბუჭიძესთან ერთად სამუშაო ვიზიტით ვიმყოფებოდი ავსტრიის დედაქალაქ ვენაში.

ვიზიტის ფარგლებში, არაერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა, მათ შორის ქალაქ ვენის საგანმანათლებლო კამპუსების გაერთიანების განყოფილების უფროსთან, კარინ ბროკალთან, ქალაქის მეორე რაიონის საგანმანათლებლო კამპუსისა და საბავშვო ბაღის ხელმძღვანელ სილვია ალინსთან, ქ. ვენის მერიის ევროპისა და საერთაშორისო ურთიერთობების

ხელმძღვანელთან, ქალაქის სენატის მრჩეველ თომას რეშთან, მერიის ბიბლიოთეკის

ხელმძღვანელ ფრანც იოსეფ განგელმაიერთან, ვენის სამუსიკო სკოლების დირექტორ სვეა ჰილჩერთან, მუნიციპალიტეტის საბჭოს მრჩეველთან, სახელდების კომისიის თავმჯდომარე გეორგ ნიედერმულბიხლერთან და ვენის მუზეუმის კომუნიკაციისა და ურთიერთობების ხელმძღვანელ ფლორიან პოლაკთან.

დელეგაციის წევრებმა კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტებზე, კულტურის სფეროში არსებულ მიღწევებსა და გამოწვევებზე ისაუბრეს და წარმატებული რეფორმების მოდელების გაცვლასთან დაკავშირებით სამომავლო გეგმები დასახეს.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო სახელდების სფეროსაც. კერძოდ, მხარეებმა ქართულ-ავსტრიული ურთიერთობის გათვალისწინებით, თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის სახელის მინიჭებაზე იმსჯელეს.

დელეგაციის წევრებმა ყურადღება გაამახვილეს ვიზიტის მნიშვნელობაზე და ქვეყნებს შორის კულტურისა და განათლების სფეროს მიმართულებით ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობაზე.


#### 1.5.2.2. უზბეკეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, ალექსანდრე ხვთისიაშვილთან უზბეკეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან, ბახტიორ საიდოვთან ერთად, სამგორის რაიონში, უზბეკი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ალიმერ ნავოის სახელობის პარკი დავათვალიერეთ.

დონისძიებას უზბეკეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბაბურ უსმანოვი, უზბეკეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბახრომ აშრაფხანოვი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უზბეკეთში დავით კოტარია და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მხარეებმა პარკის კულტურულ და სარეკრეაციო მნიშვნელობაზე ისაუბრეს და ხაზი გაუსვეს თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების მნიშვნელობას მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავების მიმართულებით. მათ ასევე მზაობა გამოხატეს შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში აქტიურად ითანამშრომლონ.



სკვერის სახელდება თბილისის საკრებულოს მიერ 2025 წლის მაისში განხორცილდა. ბოლო პერიოდში საქართველოსა და უზბეკეთს შორის არსებულმა მაღალი დონის ვიზიტებმა კიდევ უფრო განამტკიცა ქვეყნებს შორის არსებული მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობები. ხსენებული კავშირების გათვალისწინებით არსებითად შეეწყო ხელი სახელდების განხორციელებას ნაცვალგების პრინციპების გათვალისწინებით. უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში ერთ-ერთი მთავარი გამზირი შოთა რუსთაველის სახელს ატარებს, გამზირის მიმდებარედ არსებულ სკვერში კი შოთა რუსთაველის ძეგლია განთავსებული.

### 1.5.2.3. თანამშრომლობა მონტევიდეოს მერიასთან



სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ ურუგვაიში საქართველოს საელჩოს წერილობითი მომართვის საფუძველზე განიხილა მონტევიდეოსა და თბილისის შორის ნაცვალგების პრინციპით გეოგრაფიული ობიექტების სახელდების მიზანშეწონილობის საკითხი. ორმხრივი ურთიერთობების ფარგლებში მონტევიდეოს მერიამ უზრუნველყო ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ერთ-ერთი მოედნისთვის თბილისის მოედნის სახელის მინიჭება.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წარმომადგენლებმა სატელიტური რუკების საშუალებით განახორციელეს მოედნის იდენტიფიცირება. მისი მასშტაბისა და მდებარეობის გათვალისწინებით საელჩოს შუამავლობით ურუგვაის მხარეს შევთავაზეთ შესაბამისი მოედანი ისნის რაიონში, აღნიშნული მოედნისთვის მონტევიდეოს მოედნის სახელის მინიჭება საკრებულომ მ/წლის მაისის სხდომაზე განახორციელა. ნაცვალგების პრინციპების გათვალისწინებით სახელდების განხორციელება მნიშვნელოვანი კომპონენტია საქართველოს და თბილისის ცნობადობის გაზრდის თვალსაზრისით.

### 1.5.3 პარტნიორობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან და უწყებებთან

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის უფლებამოსილების განხორციელების პროცესი გეოგრაფიული ობიექტების სახელდების მიმართულებით მოიცავს დამისამართებას და ქუჩისთვის სახელმწიფო/საზოგადო მოღვაწის ან ისტორიული მოვლენის/თარიღის და ტოპონიმური სახელწოდების მინიჭებას. დამისამართების კომპონენტში კომისია აქტიურ კომუნიკაციაშია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან და მერიის შესაბამის სამსახურებთან ობიექტის ქალაქგეგმარებითი პარამეტრების განსაზღვრისა და სამისამართე აბრეგის განთავსების ნაწილში. სახელწოდების შერჩევის მიმართულებით კი კომისია

პარტნიორობს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, მეცნიერებათა აკადემიასთან, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან, საქართველოს საპატრიარქოსთან, ეროვნულ არქივთან, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებთან. მუნიციპალური სიმბოლოების დადგენის, გამოყენებისა და გამოსახვის წესების შემუშავების კომპონენტში კი კომისია მუდმივ კომუნიკაციაშია საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან.

#### 1.5.3.1 პარტნიორობა თბილისის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან



სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობდა მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან. ერთობლივად განხორციელდა ათობით გეოგრაფიული ობიექტის განვითარების არეალის შესწავლა, საზღვრებისა და პარამეტრების დადგენა. ხსენებული სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი კარტოგრაფიული მასალები რაც საკრებულოს მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს დაერთო.



#### 1.5.3.2 პარტნიორობა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან



საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახური კომისიის ერთ-ერთ მთავარ პარტნიორად მოიაზრება. უწყებასთან არსებული შეთანხმების შესაბამისად კვლავ გაგრძელდა ერთი ფანჯრის პრინციპით მუშაობა და ამა თუ იმ ობიექტთან დაკავშირებით

მოქალაქის მიმართვის საფუძველზე უწყებები ელექტრონულად ცვლიან ინფორმაციას დაინტერესებული პირის მიერ დამატებითი გადამისამართებების და ბიუროკრატიული პროცედურების გარეშე.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამისამართო სამსახურის მიერ დამისამართების თაობაზე წარდგენილ ათობით განცხადებაზე მოხდა რეაგირება. ვინაიდან განცხადებათა რაოდენობა მოიცავდა სრული ქუჩის ნუმერაციას საერთო ჯამში წლის განმავლობაში მისამართი მიენიჭა ასობით საკადასტრო ერთეულს.



#### 1.5.3.3 პარტნიორობა ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურთან

თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით სამისამართე აბრების დამზადებისა და განთავსების მიმართულებით სხვა წლების მსგავსად 500 000 ლარია გათვალისწინებული.

ვინაიდან აბრის განთავსებამდე ხდება ქუჩაზე არსებული საკადასტრო ერთეულების სისტემური ნუმერაცია, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია ერთობლივ კომუნიკაციაშია მერიის ხსენებულ სამსახურსა და სამისამართო სამსახურს შორის. ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური ქუჩაზე აბრების განთავსების პროცესს იწყებს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიასთან შეთანხმებით. კომისია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გასული წლების მსგავსად აქტიურად მონაწილეობდა იმ ქუჩების პრიორიტეტების განსაზღვრაში, სადაც აბრების მონტაჟი განხორციელდა. წლის განმავლობაში გეგმიურად განხორციელდება აბრის მონტაჟი დაახლოებით 10 000 მისამართზე.

## 2 საქმიანობა გარემოს დაცვის კომისიაში

გარემოს დაცვის კომისიამ, რომლის წევრიც ვარ 2024 წლის ნოემბრიდან 2025 წლის ოქტომბრის პერიოდში ჩაატარა - 13 სხდომა და განიხილა 84 საკითხი, ჩემს მიერ შესწავლილი იქნა ყველა - 84 საკითხი

გარემოს დაცვის კომისიის მიერ მხარდაჭერილი იქნა მერიის მიერ დაწყებული ყველა ის პროგრამა და ინიციატივა, რომელიც თბილისის, როგორც ეკოლოგიურად სუფთა ქალაქად ჩამოყალიბებას ემსახურება. წლის განმავლობაში ქალაქის მერიის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითად პრიორიტეტს კვლავინდებურად წარმოადგენდა ახალი სარეკრეაციო სივრცეების მოწყობა, დასრულდა არაერთი ახალი პარკის მშენებლობა და განხორციელდა არსებული მწვანე სივრცეების რეაბილიტაცია. ასობით ლოკაციაზე დაიგო ახალი ხე-მცენარეები და დამონტაჟდა სარწყავი სისტემები. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გარემოს დაცვის კომისიაში საქმიანობას ასევე განეკუთვნებოდა მუშაობა მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის დამტკიცების მიმართულებით, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ფუნქციონირების საკითხებს, ნარჩენების მართვის პროცესის მიმდინარეობას და სხვა.

## 3 საქმიანობა ფრაქციაში „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ 17 სხდომა. საერთო ჯამში ფრაქციამ განიხილა 30საკითხი.

## 4 მერიის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და

### თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისია განიხილავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის საკითხებს. პირისთვის/ოჯახისთვის უსახლკაროს სტატუსის მისანიჭებლად კომისიას უნდა წარედგინოს სრულყოფილი დოკუმენტაცია (1. ოჯახის თითოეული წევრის მიერ ხელმოწერილი განაცხადი; 2. ოჯახის თითოეული წევრის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა/დაბადების მოწმობა ან პასპორტი) ასლი; 3. შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (შშმ და სხვა) ასეთის არსებობის შემთხვევაში;).

სრულყოფილი განხილვისთვის კომისია იძიებს ინფორმაციას მოქალაქეების ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, ამისთვის კომისია მიმართავს **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს** (სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის, მინიჭებული ქულისა და სტატუსის (დევნილი, შშმ, ვეტერანი, სოციალურად დაუცველი (მისამართი, ოჯახის წევრები) შესახებ; შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო პორტალზე – [www.worknet.gov.ge](http://www.worknet.gov.ge) „სამუშაოს მაძიებლად“ რეგისტრაციის შესახებ.), **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს** (პირის მიერ საკუთრებაში მექანიკური სატრანსპორტო საშუალების არსებობის შესახებ; პირის მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში სახელმწიფო საზღვრის კვეთის შესახებ.), **საქართველოს ფინანსთა სამინისტროს** (უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში პირის რეგისტრირებული შემოსავლის შესახებ), **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს** (უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში პირის მოქალაქეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის შესახებ; პირის უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების არსებობის შესახებ.), **ბანკებს**

(პირების ანგარიშებზე ბოლო ექვსი თვის განმავლობაში დარიცხული და გაცემული თანხების შესახებ.).

უსახლკაროს სტატუსის მინიჭების შემდეგ, კომისია, რიგითობის განსაზღვრის მიზნით, ოჯახებს ანიჭებს ქულებს, შესაბამისი წესის მიხედვით. შემდგომში, რესურსის შესაბამისად, გაცემს რეკომენდაციას ოჯახის ფართით დაკმაყოფილების შესახებ.

2025 წელს მონაწილეობა მივიღე კომისიის 4 სხდომის მუშაობაში, საერთო ჯამში განხილული იქნა 1267/4921 ოჯახის/პირის უსახლკაროდ რეგისტრაციის საკითხი.

## 5 დანართი

საანგარიშო პერიოდში სახელდებული გეოგრაფიული ობიექტების ჩამონათვალი:

|                                                                                                                                                                                                                                                                                                           |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე ე.წ. თბილისი არენასთვის <b>ოთარ ქორქიას და ნოდარ ჯორჯიკიას</b> სახელობის თბილისის სპორტის სასახლის სახელის მინიჭების შესახებ;                                                                                                                 |
| ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯრის გასასვლელისთვის და მასთან არსებული უსახელო ხეივანისთვის <b>ამალღების</b> ხეივანის სახელის მინიჭების შესახებ;                                                                                                                                                   |
